პროექტზე დაფუძნებული სწავლების გავლენა მე-4 კლასის მოსწავლეთა მოქალაქეობრივ და ეკონომიკურ წიგნიერებაზე

მარიამ გუჯაბიძე, მარიამ ნაკაიძე, ანი გულოშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები)

ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო ჭიაბრიშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გუჯაბიძე, მარიამ ნაკაიძე, ანი გულოშვილი.

2025

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს პროექტზე დაფუძნებული სწავლების (Project-Based Learning – PBL) მეთოდის გავლენის ანალიზს მეოთხე კლასის მოსწავლეთა მოქალაქეობრივი და ეკონომიკური წიგნიერების განვითარებაზე. კვლევა ემყარება დიზაინზე დაფუძნებული კვლევის (Design-Based Research – DBR) ჩარჩოს.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ თბილისის 161-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მე-4 კლასის მოსწავლეები. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები და შემდეგი ინსტრუმენტები: კითხვარები, ინტერვიუები, დაკვირვების ოქმები და მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი. კვლევის განმავლობაში ეტაპობრივად განხორციელდა PBL მეთოდით დაგეგმილი სასწავლო ინტერვენციები, რომელთა მიზანი იყო მოსწავლეთა ეკონომიკური და მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარება პრაქტიკული და რეალურ კონტექსტზე დაფუძნებული პროექტის მეშვეობით.

მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება არსებითად უწყობს ხელს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების გაძლიერებას, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას, რესურსების გონივრულად გამოყენების უნარის გამომუშავებასა და პასუხისმგებლიან ქცევასთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირებას. მოსწავლეები კვლევის შედეგად უკეთესად აცნობიერებენ როგორც ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენას, ისე საკუთარი როლის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ PBL წარმოადგენს ეფექტურ მიდგომას, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თეორიული ცოდნა გადაიტანონ პრაქტიკაში და ჩამოყალიბდნენ ეკონომიკურად შეგნებულ და მოქალაქეობრივად აქტიურ პიროვნებებად. ნაშრომის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ისე ეროვნული სასწავლო გეგმის ინოვაციური განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ეკონომიკური წიგნიერება, მოქალაქეობრივი წიგნიერება, დაწყებითი საფეხური, დიზაინზე დაფუძნებული კვლევა.

Abstract

This thesis aims to analyze the impact of the project-based learning (PBL) approach on the development of civic and economic literacy among fourth-grade students. The study is grounded in the framework of Design-Based Research (DBR).

The target group of the research consisted of primary-level students from Tbilisi Public School No. 161. Various data collection instruments were employed during the research process, including questionnaires, interviews, observation protocols, and the analysis of students' work. Throughout the study, a series of instructional interventions were implemented using the PBL method, each designed to foster students' economic and civic competencies through practical, real-life projects.

Analysis of the collected data demonstrated that project-based learning significantly contributes to the enhancement of students' practical skills, the development of critical and analytical thinking, the cultivation of responsible behavior, and the ability to use resources wisely. As a result of the intervention, students showed an improved understanding of economic decision-making and a stronger awareness of their role in contributing to societal development.

In conclusion, the findings suggest that PBL is an effective pedagogical approach that enables students to apply theoretical knowledge in real-life contexts, supporting their growth as economically literate and civically engaged individuals. The results of this study are relevant to enhancing pedagogical practices and informing the innovative development of the national curriculum.

Keywords: Project-Based Learning, economic literacy, civic literacy, primary education, Design-Based Research.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნინო ჭიაბრიშვილს, რომლის მხარდაჭერა, პროფესიონალიზმი და კეთილგანწყობილი ხელმძღვანელობა გადამწყვეტი იყო კვლევის ყველა ეტაპზე. მისმა რჩევებმა და პრაქტიკულმა რეკომენდაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც ჩვენი კვლევითი კომპეტენციების განვითარებაში, ისე ნაშრომის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ თბილისის 161-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციას და მე- 4 კლასის დამრიგებელს, ქალბატონ თათა ლაღიძეს თანამშრომლობის, პროფესიული მხარდაჭერისა და კეთილგანწყობისთვის, რაც კვლევის წარმატებულად განხორციელებაში დაგვეხმარა. ასევე მადლობას ვუხდით, ჩვენი კვლევის მონაწილე არაჩვეულებრივ მოსწავლეებს.